INTERNATIONALE PARLAMENTS-PRAKTIKA

საერთაშორისო საპარლამენტო პრაქტიკა

<u>გერმანიის ბუნდესტაგის და ბერლინის უნივერსიტეტების ერთობლივი პროგრამა</u>

იღებთ თუ არა აქტიურ მონაწილეობას თქვენი სამშობლოს სოციალურ, აკადემიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში?
გსურთ თუ არა აქტიურად და პასუხისმგებლობით აშენოთ თქვენი ქვეყნის მომავალი?
გსურთ თუ არა შეიხედოთ პოლიტიკურ კულუარებში და დემოკრატიას უშუალო სიახლოვეში ეზიაროთ?
მაშინ ისარგებლეთ შემთხვევით, მიიღეთ მონაწილეობა გერმანიის ბუნდესტაგისა და ბერლინის უნივერსიტეტების ერთობლივ უნიკალურ პროგრამაში და შეიტანეთ საბუთები საერთაშორისო საპარლამენტო პრაქტიკის (**IPP**) გასავლელად.

გერმანიის ბუნდესტაგი ბერლინის უნივერსიტეტებთან ერთად ყოველ წელიწადს დაახლოებით 100 ახალგაზრდას მსოფლიოს ამჟამად უკვე 21 ქვეყნიდან აძლევს უნიკალურ შანსს გაიაროს ხანგრძლივი პრაქტიკა გერმანიის ბუნდესტაგის ერთ-ერთ წევრთან და ამ გზით გაეცნოს გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრებაში გადაწყვეტილების მიღების პროცესებს და მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება საპარლამენტო მუშაობის სფეროში.

პროგრამის მიზანია გაზარდოს ახალგაზრდების ინტერესი დემოკრატიისა და საზოგადოების მიმართ, შეგულიანოს და ენთუზიაზმი ჩაუნერგოს მათ დემოკრატიულ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად. საერთაშორისო საპარლამენტო პრაქტიკა არის დემოკრატიული ფასეულობებისა და ტოლერანტულობის განმტკიცების საქმეში, ისევე როგორც კულტურული მრავალფეროვნებისა და ევროპაში მშვიდობიანი თანაცხოვრების მხარდაჭერის საქმეში ჩადებული გრძელვადიანი ინვესტიცია.

პროგრამაში მონაწილეობას შემდეგი ქვეყნები იღებენ: ალბანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, მაკედონია, პოლონეთი, რუმინეთი, რუსეთი, საფრანგეთი, საქართველო, სერბია და ჩერნოგორია, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, უკრაინა, ყაზახეთი, ჩეხეთი და ხორვატია.

საერთაშორისო საპარლამენტო პრაქტიკა იწყება 1 მარტს და მთლიანობაში 5 თვე გრძელდება. პროგრამის ბირთვს წარმოადგენს სამთვენახევრიანი პრაქტიკა გერმანიის ბუნდესტაგის დეპუტატების ოფისებში. გარდა ამისა სტიპენდიანტები მონაწილეობას მიიღებენ გერმანიის ხუთი პოლიტიკური ფონდის მოსამზადებელ სემინარებში. დამატებით, ისინი მონაწილეობას მიიღებენ თანამდევ სამეცნიერო პროგრამაში, რომელიც ბერლინის უნივერსიტეტების და პოლიტიკური ფონდების მიერ არის მომზადებული.

საერთაშორისო საპარლამენტო პრაქტიკის მონაწილეები გერმანიის ბუნდესტაგის სახსრებიდან მიიღებენ ყოველთვიურ სტიპენდიას 450 ევროს ოდენობით. გარდა ამისა სტიპენდია მოიცავს უფასო საცხოვრებელს, ისევე როგორც სამედიცინო, საგარანტიო და უბედური შემთხვევებისაგან დაზღვევის ხარჯების დაფარვას. მონაწილეებს აუნაზღაურდებათ ბერლინში ჩამოსვლისა და სამშობლოში დაბრუნების სამგზავრო ხარჯები.

განცხადებების მიღება 2006 წლის პროგრამისათვის მთავრდება ... ივნისს/ივლისს/აგვისტოს.

უფრო ვრცელი ინფორმაციის მიღება საერთაშორისო საპარლამენტო პრაქტიკის შესახებ შეიძლება ინტერნეტში, შემდეგ მისამართზე: www.bundestag.de/ipp

გულითადად გიწვევთ საერთაშორისო საპარლამენტო პრაქტიკაში მონაწილეობის მისაღებად და მოხარულნი ვიქნებით თქვენი განცხადებების მიღებისა.
განყოფილება WI 4
გერმანიის ბუნდესტაგის ადმინისტრაცია